საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 6 22 00140552

18/01/2022

ბატონ ჯუმბერ ბერიძიშვილს
ელ. ფოსტა: foi+request-95-e2c77f41@askgov.ge

ბატონო ჯუმბერ,

მიმდინარე წლის 11 იანვრის, № 71710 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს, არეგისტრირებს და გადასცემს გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტისა და მასზე რეაგირებისთვის საჭირო გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრისთვის.

სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ს, კორონავირუსის მართვის პროცესში, მნიშვნელოვანი ფუნქცია დაემატა. თითოეულ მოქალაქეს ვირუსის დადასტურების შემთხვევაში შეუძლია დარეკოს 112-ზე. 2020 წლის 11 ნოემბრიდან, კოვიდთ ან დაკავშირებული მომართვიანობის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, 112-ში დაკავშირების ცალკე არხი შეიქმნა. კოვიდმომართვიანობის სტატისტიკის წარმოება სწორედ ამ პერიოდიდანაა შესაძლებელი.

გიგზავნით, „112“-ში, 2020 წლის 11 ნოემბრიდან 2022 წლის 10 იანვრამდე პერიოდში, კოვიდთან დაკავშირებით შემოსული ზარების სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ჩაშლილია თვეების მიხედვით.

აქვე მოგახსენებთ, რომ შემოსული ზარის დონეზე ვერ ხერხდება რეგიონის, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ვერ წარმოგიდგენთ ამ კუთხით დამუშავებულ მონაცემებს.

იხ. მიბმული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**